გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

06 ივნისი 2024

N 2-547

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „მერკური გრუპი 313“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, შესახებ

2024 წლის 31 მაისს სამინისტროს მომართა შპს „მერკური გრუპი 313“-მა და ითხოვა „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული შემდეგი ნივთიერებების ტრანზიტის ნებართვის მიღება შესაბამისი ოდენობებით:

- 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) – 6 750 კგ;
- R410A (HFC-32/HFC-125) – 1 200 კგ;
- R427A (HFC-32/HFC-125/HFC-143a/HFC-134a) – 972 კგ;
- R407C (HFC-32/ HFC-125/HFC-134a) – 3 800 კგ.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 7^2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „მერკური გრუპი 313“-ზე (საიდენტიფიკაციო კოდი: 415096229) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა (#000053) შემდეგი ნივთიერებების ტრანზიტის შესაბამისი ოდენობებით:

- 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) – 6 750 კგ;
- R410A (HFC-32/HFC-125) – 1 200 კგ;
- R427A (HFC-32/HFC-125/HFC-143a/HFC-134a) – 972 კგ;
- R407C (HFC-32/ HFC-125/HFC-134a) – 3 800 კგ.

2. ნებართვა ძალაშია მისი გაცემიდან ერთი წლის ვადით;
3. შპს „მერკური გრუპი 313“-მა უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „მერკური გრუპი 313“-ს“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მერკური გრუპი 313“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე